



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

30. 03. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუკვალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მანია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე,

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს წევრმა **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ვინაიდან სხდომას ესწრებიან ახალგაზრდა სპორსმენები, დღის წესრიგის პროექტში მე-14 საკითხის განხილვა მოხდეს პირველ საკითხად.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის შესწორებული ვარიანტი:

1. „შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

8. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ჩახვამე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

15. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“- სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია /

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია /

17. სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მოხდა აღნიშნული საკითხის ინიცირება. მისი მიზანშეწონილობის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით მერიაში შემოვიდა მომართვა და ასევე საკრებულოს რამდენიმე კომისიის სხდომის ოქმებიდან ამონაწერები, რომლითაც საკრებულოს წევრები მხარს უჭერდნენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-დან ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო“ სკოლის გამოყოფას და ცალკე იურიდიულ პირად დაფუძნებას. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით წარმოდგენილია განკარგულების პროექტი სწორედ იმ ფორმულირებით, რა სახითაც მოწოდებულ იქნა საკრებულოს მიერ. საკითხთან დაკავშირებით მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურიდან შემოვიდა მოხსენებითი ბარათი, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული იურიდიული პირის დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს ასიგნებების ფარგლებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-დან გამოყოფასთან დაკავშირებით წერილი შემოვიდა საკრებულოში, მსჯელობა გაიმართა, როგორც საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ასევე საკითხი განიხილა საკრებულოში მოქმედმა თითქმის ყველა კომისიამ და ფრაქციამ. მისი თქმით, ხელთ აქვს კომისიების დასკვნები, რომლებიც დადებითად აფასებენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-დან ა(ა)იპ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის გამოყოფას და ცალკე იურიდიულ პირად დაფუძნებას. კითხვები ქონდათ მხოლოდ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“-ს წევრებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საკითხი დამატებით შესასწავლია და საჭიროა წარმოადგინონ დამატებითი არგუმენტაცია, თუ რა პრობლემები

შეიძლება შეექმნას აღნიშნულ ა(ა)იპ-ის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ დარჩენით.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბი თუ ცალკე დამოუკიდებლად არ იფუნქციონირებს გაჭირდება სპონსორების მოძიება და ა.შ. მისი თქმით, ბევრი არგუმენტი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ გოგონათა საფეხბურთო კლუბი დამოუკიდებელ სუბიექტად არსებობდეს.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მხარს დაუჭერს აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს წევრმა **კახა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ იგი მიესალმება და მხარს დაუჭერს გოგონათა ცალკე საფეხბურთო კლუბად დაფუძნებას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო“ სკოლა არის ერთ-ერთი წარმატებული. 12 სპორტსმენი არის როგორც ასაკობრივი, ასევე ძირითადი ეროვნული ნაკრების წევრი. დაფინანსება მოხდება იმ ასიგნების ფარგლებში, რა სახსრებიც აქამდე ჰქონდა ა(ა)იპ-ს. მისი ხელმძღვანელობისგან არის დაპირება, რომ შედეგი იქნება უფრო უკეთესი, აქედან გამომდინარე, იგი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას, რადგან ასეთ წარმატებულ სკოლას უნდა მიეცეს თვითგანვითარების საშუალება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულომ უნდა მისცეს შანსი გოგონათა საფეხბურთო კლუბს, რათა დამოუკიდებელ სუბიექტად დაფუძნდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი არ იქნება წარმატებული და არ იქნება სპონსორული თანხა (10%) მოძიებული, ამის შემდეგ აუცილებლად დადგება საკითხი აღნიშნული კლუბის ისევ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ში გაწევრიანებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრების თანხმობით სხდომაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცა ა(ა)იპ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლი“-ს ყოფილი დირექტორს, დურმიშხან ჩხაიძეს. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, რომ სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და მათგან გოგონათა საფეხბურთო კლუბის დამოუკიდებელ სუბიექტად გამოყოფას დაუჭირეს მხარი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, კლუბს პერსპექტივა ვერ ექნებოდა და ძალიან წარმატებული გუნდი ფაქტობრივად დაიშლებოდა, რადგან გოგონენები სხვადასხვა გუნდებში გადანაწილდებოდნენ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N36 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N15 (30.03.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ ეს ცვლილებები ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებაში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N16 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N17 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N18 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N19 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N20 (30.03.2018)

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გაა ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას

გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N37 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: . „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების

ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა 2018 წლის 16 თებერვლის N5/9184 წერილით - ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩუთში, ჟორდანია ქ. N126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112)) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წინა წლებში „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან“ ჩამოსული იყვენ სპეციალისტები, რომლებმაც ლანჩუთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების პოტენციალს უმაღლესი შეფასება მისცეს. მუნიციპალიტეტში არსებულ 14 ჰაბურდილს და მაჩხვარეთში არსებულ ორ სათავე ნაგებობას მთლიანად უნდა უზრუნველყო, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე საკურორტო ზონების- გრიგოლეთისა და ურეკის წყალმომარაგება. მაგრამ სამწუხაროდ ეს პროექტი შეჩერდა და არ განხორციელდა. უფრო მეტიც, „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიამ“ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ძალიან მაღალი ტარიფი დაუწესა წყალზე. მისი თქმით, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა აქტიურად დააყენოს საკითხი, რომ აღნიშნული პროექტი რეალურად განხორციელდეს.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად წყლის რესურსების მართვა წარმოადგენს არა სახელმწიფო უწყების, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით, შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანია, რომელიც უკანონოდ უწესებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს წყლის ტარიფს. ფაქტობრივად, მინისტრის ბრძანებამ დაჩრდილა ორგანული კანონი, რაც არის აბსურდი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიტანოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, რომელიც მყისიერად მიიღებს გადაწყვეტილებას მინისტრის ბრძანების გაუქმების თაობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N38 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მისი თქმით, თუ მოხდება იმ ობიექტების რეალიზაცია, რომელიც საპრივატიზაციო ნუსხით არის წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვა 1 348 126 ლარი. ასევე წარმოდგენილია მესამე დანართის სახით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საპრივატიზაციო ავტომობილების ნუსხა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ არის ინიციატივა გვიმბალაურის ყოფილ არასრული სკოლის შენობაში განთავსდეს სოციალური სახლი. ამიტომ უმჯობესი იქნება აღნიშნული შენობა- ნაგებობა ამოღებულ იქნას საპრივატიზაციო ნუსხიდან.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** განმარტა, რომ ობიექტი შესაძლოა იყოს საპრივატიზაციო ნუსხაში და იგი აუქციონზე არ იქნას გატანილი.

საკრებულოს წევრმა **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი არასრული საჯარო სკოლის შენობა ყველაზე შესაფერისი ადგილია,

სადაც შეიძლება განთავსდეს შეიქმნას უფასო პროფესიული სასწავლებელი, რომელიც კვალიფიციურ კადრებს მოუმზადებს მუნიციპალიტეტს ამა თუ იმ სექტორში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შემორჩენილია ჯერ კიდევ კომუნისტურ დროში აშენებული შენობები. მისი თქმით, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მსგავსი ამორტიზირებულ შენობა ჩამოინგრა და სამწუხაროდ ნაგრევებში მოყოლილი ადამიანი გარდაიცვალა.

მიმდინარეობს მუშა პროცესი, რათა ის შენობა-ნაგებობები რომლებიც დაექვემდებარება აღდგენას გასხვისდეს და გამოუჩნდეს პატრონი, ხოლო რომელიც ამორტიზირებულია მოხდეს მისი დემონტაჟი, მაგრამ გზადაგზა არსებობს გარკვეული ბარიერები, კერძოდ შენობა -ნაგებობა არის ნულოვნად შეფასებული და მისი დემონტაჟისთვის უნდა გამოცხადდეს აუქციონი, რომელიც ვერ ხერხდება აუქციონზე ბიჯის სიდიდესთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N39 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განაპირობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მომზადებულმა სამართლებრივმა დასკვნამ. სამართლებრივი დასკვნის მოთხოვნით, ზემოაღნიშნულ დადგენილების ტექსტში მოხსენებული სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილი უწყება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, უნდა გაიწეროს სწორი ფორმულირებით, როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეული.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N21 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ „სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის“ „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტით“ და სამსახურის მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 4 (ოთხი) ერთულით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N40 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა არსებობდეს სათათბირო ორგანო შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე საბჭო. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ ჩმოყალიბდეს აღნიშნული სათათბირო ორგანო და გაიწეროს მისი ფუნქცია-მოვალეობები მიზანშეწონილია წარმოდგენილ საკითხზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N41 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ მოსაწონებლად წარმოადგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. დამატებით წარმოდგენილია ორი პროექტი: ღრმაღელე - წყალწმინდის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია (ღირებულება 25563393 ლარი), ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზების აღდგენა(1068116 ლარი).

საკრებულოს წევრი, **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, თუ რამდენი მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა ჩატარდეს 2018 წელს მუნიციპალიტეტში.

მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდება 8 500 000 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **გიორგი მორჩილაძის** თქმით კარგია, რომ კეთდება ღრმაღელე - წყალწმინდის შემოვლითი გზის

რეაბილიტაცია, ასევე ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზები, მაგრამ ასევე აუცილებელია აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის გზის სასწრაფო რეაბილიტაცია, სადაც გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამასთან ეს გზა არის უმოკლესი კურორტ ბახმაროსთან დასაკავშირებლად.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აკეთის გზა თავისი მნიშვნელობით უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივი გზა, ვინაიდან უმოკლესი დამაკავშირებელია ბახმაროს სააკურორტო ზონასთან. ადგილობრივი ხელისუფლება თავისი სახსრებით ვერ გაწვდება აღნიშნული გზის რეკონსტრუქციას და შემდგომში მის მოვლა-შენახვას, ამიტომ მუნიციპალიტეტმა უნდა მიმართოს საგზაო დეპარტამენტს თავის შემადგენლობაში შეიყვანოს როგორც პრიორიტეტული გზის მონაკვეთი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ღრმადელე-წყალწმინდის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია სახელწიფომ პრიორიტეტად მიიჩნია, ვინაიდან ცენტრალური მაგისტრალი ბათუმი - თბილისის მიმართულებით მოაკლდება დაახლოებით 6 კმ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები მომზადებული, რადგან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გარკვეული თანხების მოძიების შემთხვევაში უფრო მარტივი იქნება ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

დეპუტატმა, **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ კლინიკა „ჯამრთელობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ ასფალტის საფარი დააზიანა, რამაც პაციენტებს სამედიცინო დაწესებულებასთან მისვლა მნიშვნელოვნად გაუთულა და განსაკუთრებით წვიმიან ამინდში გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია. მან არაერთგზის დააყენა საკრებულოს სხდომებზე საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N42 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“- სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტი, კერძოდ დანართის მე-15 და მე-16 გრაფების ამოღება განპირობებულია იმით, რომ როცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 17 თებერვალს მიიღო N11 განკარგულება, რომელიც შეეხებოდა განკარგულების დანართის მე-15 გრაფის ცვლილებას, მას შემდგომ არ მოჰყოლია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ აღსრულებისათვის საჭირო დოკუმენტის (ბრძანების) მომზადება, ხოლო ამჟამად გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ზემოთ ხსენებული სპორტული ბაზის მოვლა-პატრონობა მიზანშეწონილია განახორციელოს უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერიამ. ხოლო მის მიერ წარმოდგენილ პროექტში გაწერილი დანართის მე-16 გრაფის ცვლილება შეეხება მოძრავი ქონების - ავტომანქანა მიცუბიში- მონტეროს ამოღებას, რომელიც არის გაუმართავ მდგომარეობაში და ის შეტანილია საკრებულოს დასამტკიცებლად მოაზრებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საპრივატიზებო ნუსხის პროექტის დანართში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N43 (30.03.2018)

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 14 მარტის N187 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების (ს/ნ 233731478) რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ორი იურიდიული პირი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება ს/ნ 433649411 და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება (ს/ნ 6233731478). 2018 წლის ბიუჯეტით ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება განისაზღვროს 500233 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანების დაფინანსება განისაზღვროს 175600 ლარით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N44 (30.03.2018)

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, მოსახლეობისგან არის მოთხოვნა, შემოწმებულ იქნას შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულის სკოლის შენობა, რომელიც საკმაოდ არამდგრადად გამოიყურება.

საკრებულოს წევრმა, **ირაკლი მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შეძვეალ სოფელ კოკათში გადაიწვა წყლის საქაჩი ტუმბო, რომელიც სოფლის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს და მოსახლეობა ფაქტობრივად წყლის გარეშე არის დარჩენილი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს პრობლემა მის ოჯახსაც ეხება, რადგან ის სწორედ ამ სოფლის მკვიდრია. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს თითოეულ სოფელში წყალგაყვანილობის მოვლა-პატრონობას, გაფუჭებული წყლის მოტორის შესყიდვა არ არის მუნიციპალიტეტის ვალდებულება, რადგან ამისათვის შესაბამისი ფინანსური სახსრები არ არის.

საკრებულოს წევრის, **ირაკლი მარშანიშვილის** თქმით, ხელთ აქვს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი, რომ ლესა-ოზურგეთის გზაზე მაღალი გამავლობის ავტომობილისათვის ოფიციალური დატვირთული მასა შეადგენს 26 ტონას, ამის ფონზე იმ კომპანიის ავტომობილები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს დასაშვებზე ბევრად გადაჭარბებული ტვირთით გადაადგილდებიან და აზიანებენ, როგორც გზის საფარს, ასევე კერძო სახლებს, მოსახლეობა გეგმავს საპროტესტო აქციის მოწყობას. ის დაინტერესდა, თუ ვინ გააკონტროლებს ავტომობილების წონას, რათა არ მოხდეს გზის საფარის და საცხოვრებელი სახლების დაზიანება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთზე დაიდგმება სასწორი, რომლის მეშვეობითაც საპატრულო პოლიცია გააკონტროლებს ავტომობილების მასას. წონის გადაჭარბების შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდება სოლიდური თანხით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-4 წელია არის ტყუილი დაპირებებით და არ გაკეთებულა მინი სტადიონი, რაც არის სამარცხვინო. წელს იქნებ მაინც განხორციელდეს ეს პროექტი. მისი თქმით, მოსაგვარებელია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სათავე ნაგებობის პრობლემა, ასევე მოსახლეობის მოთხოვნაა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედი საბავშვო ბაღს ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაო.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალ სოფელ ჭყონაგორაში წყლის სათავე ნაგებობა არის მოსაწესრიგებელი, რომელსაც ესაჭიროება დაახლოებით 1000 ლარი, აქედან 500 ლარი მოსახლეობის მხრიდან არის შეგროვებული, საჭიროა მხოლოდ 500 ლარით დახმარება, რადგან აღნიშნული პრობლემა სოფლის მოსახლეობისთვის დროულად იქნას მოგავრებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

